



საგანგებო სივუაუხიების მართვის სამსახურის ბიუროკრაფიული აპარატის და ხარჯების ანალიზი



Supported by
Luminate
Building stronger societies



ინფორმაციის თავისუფლების
განვითარების ინსტიტუტი

კვლევა მომზადდა ინფორმაციის თავისუფლების განვითარების ინსტიტუტის (IDFI) მიერ, გლობალური საქველმოქმედო ორგანიზაცია **Luminate**-ის ფინანსური მხარდაჭერით. მის შინაარსზე პასუხისმგებელია IDFI და კვლევაში გამოთქმული მოსაზრებები შესაძლოა არ გამოხატავდეს **Luminate**-ის პოზიციას.

შინაარსი

ძირითადი მიგნებები	2
შესავალი	4
სირთულეები საჯარო ინფორმაციის მიღების პროცესში	4
საგანგებო სიტუაციების მართვის რეფორმის ეტაპები	5
სტრუქტურული და შრომის ანაზღაურების ცვლილებები	7
საგანგებო სიტუაციების მართვის სამსახურის ხარჯების ანალიზი - 2015-2018 წ.წ.	12
წლიური ხარჯები	12
შრომის ანაზღაურება	13
სოციალური უზრუნველყოფა	15
დასაქმებულთა რაოდენობა	16
საქონელი და მომსახურება	17
დასკვნა	18

ძირითადი მიგნებები

- ✓ 2015 წლიდან დღემდე საგანგებო სიტუაციების მართვის სფეროში რეფორმა სამჯერ განხორცილდა, ყოველ ჯერზე იცვლებოდა უწყების სახელწოდება, სამართლებრივი სტატუსი და მისი ხელმძღვანელი პირები.
- ✓ რეფორმათა განხორციელების ერთ-ერთ მთავარ მიზანს ხარჯების ოპტიმიზაცია წარმოადგენდა. თუმცა, უწყების ყოველწლიური ბიუჯეტის ხარჯვითი ნაწილის შესწავლის საფუძველზე დადგინდა, რომ აღნიშნული მიზანი არათუ ვერ იქნა მიღწეული, არამედ საგანგებო სიტუაციების მართვის სამსახურის ბიუჯეტი რეფორმის განხორციელების ყოველ ეტაპზე განაგრძობდა ზრდას.
- ✓ თავად, რეფორმათა განხორციელების სიხშირე შესაძლებელია მიუთითებდეს იმაზე, რომ ყოველ კონკრეტულ შემთხვევაში რეფორმები არ იყო საკმარისად ეფექტური. გადაწყვეტილებები მიიღებოდა დაჩქარებული წესით, შესაბამისი წინასწარი შეფასების თუ კონსულტაციების გარეშე. აღნიშნული კი გამოხატულებას პოუვბდა, ხანმოკლე პერიოდის გასვლის შემდეგ კვლავ ახალი ცვლილების განხორციელების აუცილებლობაში.
- ✓ ამასთან, საგანგებო სიტუაციების მართვის ახალი სამსახურის ხელმძღვანელად თავდაპირველად გიორგი მღებრიშვილის დანიშვნა, ხანმოკლე პერიოდში ახალი პრემიერ-მინისტრის დამტკიცების შემდეგ უწყების შინაგან საქმეთა სამინისტროს დაქვემდებარებაში დაბრუნება და მისი ხელმძღვანელის კიდევ ერთხელ შეცვლა, აჩენს ეჭვებს იმასთან დაკავშირებით, რომ უწყებაში განხორციელებულ ცვლილებებს უფრო მეტად პოლიტიკური ხასიათი ჰქონდა, ვიდრე საგანგებო სიტუაციების მართვის სფეროში რეალურად ეფექტური ცვლილებების გატარებაზე ორიენტირებული რეფორმისა.
- ✓ ხარჯების ოპტიმიზაციის გაცხადებული მიზნის საწინააღმდეგოდ 2015 წელთან შედარებით 2018 წელს საგანგებო სიტუაციების მართვის სამსახურის ხარჯი გაიზარდა 10 მილიონზე მეტი ლარით. მათ შორის გაიზარდა შრომის ანაზღაურებაზე გაწეული ხარჯი და მან წინა წლებთან შედარებით ყველაზე მაღალ მაჩვენებელს 2018 წელს მიაღწია.
- ✓ რეფორმათა შედეგად დაგეგმილი იყო ასევე, ხარჯების ოპტიმიზაციის შედეგად გამოთავისუფლებული თანხებიდან მეხანძრე-მაშველთა სოციალური მდოგმარეობის გაუმჯობესება. 2018 წლის 1 აგვისტოდან მეხანძრე-მაშველთა თანამდებობრივი სარგო გაიზარდა, თუმცა მხოლოდ 120 ლარით. მოიმატა ასევე სამსახურის ხელმძღვანელ პოზიციებზე მყოფ პირთა თანამდებობრივმა სარგომ, 3,000 ლარამდე ოდენობით, რაც წინა წლებში დამკვიდრებული დანამატის გაცემის პრაქტიკის ერთგვარ ჩანაცვლებას წარმოადგენდა. აღსანიშნავია, რომ მოდევნო წლის ბიუჯეტით გათვალისწინებულია მეხანძრე-მაშველთა თანამდებობრივი სარგოს გაზრდა დამატებით 125 ლარის ოდენობით.

- ✓ კრიზისების მართვის საბჭოსა და საგანგებო სიტუაციების მართვის სააგენტოს გაერთიანების შემდეგ საგანგებო სიტუაციების მართვის სამსახურში შეიქმნა და დღემდე ფუნქციონირებს სამი ახალი სტრუქტურული ერთეული. საერთაშორისო ურთიერთობების სამმართველო, საზოგადოებასთან ურთიერთობის სამმართველო და იურიდიული სამმართველო. მოცემულ სამმართველოთა ფუნქციებს უწყებათა გაერთიანებამდე საგანგებო სიტუაციების მართვის სააგენტოს ადმინისტრაცია და სამოქალაქო უსაფრთხოების დეპარტამენტი ასრულებდნენ.
- ✓ არსებული მდგომარეობით, საგანგებო სიტუაციების მართვის სამსახურში ადმინისტრაციული მიზნებისთვის დასაქმებულ თანამშრომელთა რაოდენობა მნიშვნელოვნად აღემატება მთელი რიგ სამინისტროთა ცენტრალურ აპარატებში შტატით გათვალისწინებულ თანამდებობებზე დასაქმებულთა რაოდენობას.
- ✓ ბოლო წლებში უწყების მიერ სოციალურ უზრუნველყოფაზე განეული ხარჯები, სხვა ხარჯებთან შედარებით მხოლოდ მცირედით გაიზარდა.
- ✓ მნიშვნელოვნად შემცირდა სამსახურში დასაქმებულთა რაოდენობაც, თუმცა რამდენიმე ასეულით გაიზარდა შტატგარეშე დასაქმებულთა რიცხვი. 2018 წელს შტატგარეშე დასაქმებულთა მკვეთრი ზრდის დეტალური შესწავლის მიზნით IDFI-მ უწყებიდან გამოითხოვა საჯარო ინფორმაცია, თუმცა სამწუხაროდ ვერ შეძლო მოთხოვნილი მონაცემების მიღება.
- ✓ უწყებამ არ გასცა არც თანამდებობის პირებზე (ცალ-ცალკე სახელისა და გვარის მითითებით) გამოყოფილი და ათვისებული საწვავის ოდენობის შესახებ ინფორმაცია და საწვავის მოხმარებაზე ყოველთვიური ლიმიტების განსაზღვრის შესახებ სამართლებრივი აქტების ასლები.
- ✓ გამოიკვეთა ასევე პრობლემები საგანგებო სიტუაციების მართვის სამსახურის შესახებ ინფორმაციის პროაქტიულ ხელმისაწვდომობასთან დაკავშირებით. კერძოდ, სამსახურის ოფიციალურ ვებგვერდზე მისი სატესტო რეჟიმში მოქმედების გამო არ ფუნქციონირებს საჯარო ინფორმაციის გვერდი.

შესავალი

საგანგებო სიტუაციების მართვის სფეროში ბოლო წლებში საქართველოში არაერთი რეფორმა განხორციელდა. მათ მიზანს საგანგებო სიტუაციებზე მყისიერი და ეფექტური რეაგირების მექანიზმის შექმნა, ხარჯების ოპტიმიზაცია და უწყებაში დასაქმებულთა, განსაკუთრებით კი მეხანძრე-მაშველთა სოციალური მდგომარეობის გაუმჯობესება წარმოადგენდა. ააიპ ინფორმაციის თავისუფლების განვითარების ინსტიტუტი (IDFI) საჯაროდ ხელმისაწვდომი მონაცემების შესწავლისა და საგანგებო სიტუაციების მართვის სამსახურიდან გამოთხოვილი საჯარო ინფორმაციის გაანალიზების საფუძველზე შეეცადა დაედგინა მოცემული სფეროს ხშირი რეფორმირების მიზეზები და გამოეკვლია თუ რამდენად მიაღწია მან დეკლარირებულ ხარჯების ოპტიმიზაციის მიზანს.

სამოქალაქო უსაფრთხოების შესახებ საქართველოს კანონის თანახმად საგანგებო სიტუაცია განმარტებულია, როგორც გარკვეულ ტერიტორიაზე ან ობიექტზე შექმნილი ისეთი ვითარება, რომლის დროსაც ირღვევა ადამიანთა ყოფა-ცხოვრების ნორმალური პირობები და რომელიც აშკარა საფრთხეს უქმნის ადამიანის სიცოცხლეს ან/და ჯანმრთელობას, მნიშვნელოვან ზიანს აყენებს გარემოსა და ქონებას. მსგავსი შემთხვევების მაგალითებია წყალდიდობა, ტყის ხანძრები, სამოქალაქო არეულობა, ტერაქტი და სხვა. საგანგებო სიტუაციების მართვის სამსახურის ფუნქცია კი მსგავსი საგანგებო სიტუაციების პრევენცია და მატზე ეფექტური რეაგირებაა.

მოცემული დოკუმენტი თავდაპირველად მიმოიხილავს საგანგებო სიტუაციების მართვის სამსახურის ინფორმაციის მიღებისა და შეგროვების პროცესში წარმოჩენილ სირთულეებს, რის შემდეგაც ის გააცნობს მკითხველს საგანგებო სიტუაციების მართვის სამსახურის რეფორმირების ეტაპებსა და მის სტრუქტურულ ცვლილებებს. მომდევნო ნაწილი დაეთმობა საგანგებო სიტუაციების მართვის სამსახურის 2015-2018 წლების ბიუჯეტების ხარჯვითი ნაწილის ანალიზს შემდეგი საკითხების მიხედვით: საერთო წლიური ბიუჯეტი, შრომის ანაზღაურება (მათ შორის ხელმძღვანელ პოზიციებზე დასაქმებულ პირთა და მეხანძრე მაშველთა შრომის ანაზღაურება), სოციალური უზრუნველყოფა და საქონელი და მომსახურება. აღნიშნული ეფუძნება ფინანსთა სამინისტროს ვებგვერდზე გამოქვეყნებულ ყოველწლიური ბიუჯეტის შესრულების ანგარიშებს.

სირთულეები საჯარო ინფორმაციის მიღების პროცესში

საგანგებო სიტუაციების მართვის სამსახურის ხარჯების შესახებ დეტალური ინფორმაციის მიღების მიზნით IDFI-მ უწყებას საჯარო ინფორმაციის მიღების შესახებ განცხადებით მიმართა. უწყებამ მოთხოვნილი სახით მოგვანოდა საკუთარი საშტატო ნუსხა, დასაქმებულ პირთა პოზიციებისა და თანამდებობრივი სარგოს მითითებით, თუმცა უარი განაცხადა ისეთი ინფორმაციის გაცემაზე, როგორც იყო შტატგარეშე დასაქმებულ პირთა უფლება-მოვალეობები და მათთან გაფორმებული ხელშეკრულებები (პერსონალურ მონაცემთა დაფარვის გზით). ვერ მივიღეთ ინფორმაცია ვერც თანამდებობის პირებზე გამოყოფილი და ათვისებული სანჯავის ოდენობის შესახებ. აღნიშნული ინფორმაციის მიღება IDFI-მ ვერც ადმინისტრაციული საჩივრის წარდგენის შედეგად შეძლო.

ინფორმაციის შეგროვებისა და ანალიზის პროცესში გამოიკვეთა ასევე პრობლემები საგანგებო სიტუაციების მართვის სამსახურის შესახებ ინფორმაციის პროაქტიულად

ხელმისაწვდომობასთან დაკავშირებით. კერძოდ, სამსახურის ოფიციალურ ვებგვერდზე მისი სატესტო რეჟიმში მოქმედების გამო არ ფუნქციონირებს საჯარო ინფორმაციის გვერდი.¹ არსებულ ვითარებაში განსაკუთრებით მნიშვნელოვანია საგანგებო სიტუაციების მართვის სამსახურთან დაკავშირებული საჯარო ინფორმაცია გამოქვეყნებული იყოს მისი ზედამხედველი შინაგან საქმეთა სამინისტროს ოფიციალურ ვებგვერდზე, თუმცა სამწუხაროდ სამინისტროს ელექტრონული რესურსი მოიცავს მხოლოდ მითითებას სამსახურის სატესტო რეჟიმში არსებულ ვებგვერდზე გადასასვლელად.



საჯარო ინფორმაცია

Under Construction

საგანგებო სიტუაციების მართვის რეფორმის ეტაპები

მოქმედი კანონმდებლობის თანახმად საგანგებო სიტუაციების პრევენციას, ერთიანი სისტემის მზადყოფნას, საგანგებო სიტუაციებზე რეაგირებას, დაზარალებულ ზონაში აღდგენითი სამუშაოების ორგანიზებასა და სამოქალაქო უსაფრთხოებას შინაგან საქმეთა სამინისტროს (შსს) საქვეუწყებო დაწესებულება საგანგებო სიტუაციების მართვის სამსახური უზრუნველყოფს. მოცემული სამართლებრივი სტატუსის მინიჭებამდე საგანგებო სიტუაციების მართვის სამსახურში არაერთი რეფორმა განხორციელდა.

2015 წლამდე საგანგებო სიტუაციების მართვა საქართველოში შსს-ს შემადგენლობაში შემავალ საგანგებო სიტუაციების მართვის დეპარტამენტს ეკისრებოდა. 2015 წლის 1-ლი იანვრიდან შსს მინისტრის ბრძანების საფუძველზე უწყება ჩამოყალიბდა დამოუკიდებელ სტრუქტურულ ერთეულად და მიენიჭა საჯარო სამართლის იურიდიული პირის სტატუსი.²

2017 წლის ნოემბერს ყველასგან მოულოდნელად, საზოგადოებასთან რაიმე სახის კონსულტაციების გამართვის გარეშე გამოცხადდა მთავრობის სტრუქტურის ცვლილების შესახებ რეფორმა, რომელიც გულისხმობდა არაერთი უწყების, მათ შორის სამინისტროთა გაერთიანებას და ხარჯების ოპტიმიზაციას.³ მოცემული ძალზედ მნიშვნელოვანი რეფორმის განხილვა მთავრობამ პარლამენტისგან დაჩქარებული წესით მოითხოვა. სწორედ მოცემული რეფორმის ფარგლებში შსს-ს დაქვემდებარებაში შემავალი სსიპ საგანგებო სიტუაციების სააგენტოსა და პრემიერ-მინისტრის სათათბირო

1 საგანგებო სიტუაციების მართვის სამსახურის ოფიციალური ვებსაიტის, საჯარო ინფორმაციის ვებგვერდი (ბოლოს ნანახია 06.11.2019): <https://es.gov.ge/page/8>.
2 <https://matsne.gov.ge/ka/document/view/2647504?publication=0>
3 <https://info.parliament.ge/#law-drafting/14730>

ორგანოს უსაფრთხოებისა და კრიზისების მართვის საბჭოს ბაზაზე შეიქმნა სპეციალური დანიშნულების სახელმწიფო დაწესებულება - საგანგებო სიტუაციების მართვის სამსახური, რომელიც დაუქვემდებარდა საქართველოს პრემიერ-მინისტრს. აღსანიშნავია, რომ საგანგებო სიტუაციების მართვის ახალი სამსახურის ხელმძღვანელად დაინიშნა გიორგი მღებრიშვილი, რომელიც მოცემულ პოზიციაზე დანიშნამდე გათავისუფლებულ იქნა მის მიერ დაკავებული შინაგან საქმეთა მინისტრის თანამდებობიდან.

პარლამენტში ინიცირებული სტრუქტურული ცვლილებების ახსნა-განმარტებით ბარათი არ მოიცავდა დასაბუთებას, იმის შესახებ თუ რატომ გადაწყდა საგანგებო სიტუაციების მართვის სამსახურის პრემიერ-მინისტრისთვის დაქვემდებარება, ნაცვლად მისი შსს-ს სისტემაში არსებობისა. ახსნა-განმარტებითი ბარათი ასევე მოიცავდა მხოლოდ მცირე ჩანაწერს, რომლის თანახმადაც კანონპროექტი გავლენას არ მოახდენდა სახელმწიფო ბიუჯეტის ხარჯვით ნაწილზე. ამასთან ის მიუთითებდა, რომ მოსალოდნელი იყო გარკვეული ოპტიმიზაცია ადმინისტრაციული ხარჯებისა და რესურსების მიმართულებით, რაც 2018 წლის განმავლობაში ეტაპობრივად გამოიკვეთებოდა.⁴ **თანამდებობის პირთა განცხადებების თანახმად გამოთავისუფლებული თანხები მოხმარდებოდა მესხანძრე-მაშველების სოციალური პირობების გაუმჯობესებას და მათი შრომის ანაზღაურების გაზრდას.**⁵

მოცემული რეფორმის განხორციელებიდან მოკლე პერიოდში - სულ რაღაც 1 წელიწადში, პრემიერ-მინისტრ გიორგი კვირიკაშვილის გადადგომისა და ახალი პრემიერ მინისტრის მამუკა ბახტაძის დანიშნისთანავე უწყებაში კვლავ განხორციელდა სტრუქტურული ცვლილებები და პრემიერ-მინისტრს დაქვემდებარებული საგანგებო სიტუაციების მართვის სამსახური, მასში შემავალი კრიზისების მართვის საბჭოს კომპონენტით, დაუბრუნდა შინაგან საქმეთა სამინისტროს სისტემას, ამჟამად სახელმწიფო საქვეუწყებო დაწესებულების სტატუსით, რომელიც მას დღეს გააჩნია.⁶ განმარტებითი ბარათის თანახმად საგანგებო სიტუაციების მართვის სამსახური კონკრეტულ შემთხვევებში იყენებდა შინაგან საქმეთა სამინისტროს მატერიალურ-ტექნიკურ ბაზასა და ცალკეული სტრუქტურულ ქვედანაყოფთა ადამიანურ რესურსს. მისი შინაგან საქმეთა სამინისტროს დაქვემდებარებაში დაბრუნება კი გააადვილებდა საგანგებო სიტუაციებზე რეაგირებისა და მართვის პროცესს. აღსანიშნავია, რომ მოკლე პერიოდში საგანგებო სიტუაციების მართვის სამსახურის ხელმძღვანელი კიდევ ერთხელ შეიცვალა და 2018 წლის დეკემბრიდან თანამდებობა თეიმურაზ მღებრიშვილს უკავია.

2018 წლის დეკემბერიდან დღემდე კი საგანგებო სიტუაციების მართვის სამსახურის უფროსი თეიმურაზ მღებრიშვილია. თეიმურაზ მღებრიშვილი, 2015 წლის აგვისტოს დაინიშნა ახალი შინაგან საქმეთა მინისტრის გიორგი მღებრიშვილის მოადგილედ და აღნიშნულ თანამდებობას 2016 წლამდე იკავებდა. საგანგებო სიტუაციების მართვის სამსახურის უფროსად დანიშნამდე, 2016-2018 წლებში თეიმურაზ მღებრიშვილი იკავებდა სასჯელაღსრულებისა და პრობაციის მინისტრის მოადგილის პოზიციას.

4 <https://info.parliament.ge/file/1/BillReviewContent/165024?>

5 <https://www.interpressnews.ge/ka/article/483728-shalva-xucishvili-resursebi-rac-sagangebo-situaciebis-martvis-samsaxurs-axla-akvs-aradamakmaqopilebelia-chveni-amocanaa-gavxdet-saimedo-partniorebi/>

6 <https://info.parliament.ge/#law-drafting/16496>



რა თქმა უნდა, მისასალმებელია, რომ საგანგებო სიტუაციების მართვის სფეროს რეფორმირების სახელმწიფოს მიერ გაცხადებულ მიზანს უწყების მეტად ეფექტური საქმიანობა და ხარჯების ოპტიმიზაცია წარმოადგენდა. მიუხედავად, აღნიშნულისა რეფორმათა განხორციელების სიხშირე შესაძლებელია მიუთითებდეს იმაზე, რომ ყოველ კონკრეტულ შემთხვევაში რეფორმები არ იყო საკმარისად ეფექტური. გადანყვეტილებები მიიღებოდა დაჩქარებული წესით, შესაბამისი წინასწარი შეფასების თუ კონსულტაციების გარეშე. აღნიშნული კი გამოხატულებას პოვებდა, ხანმოკლე პერიოდის გასვლის შემდეგ კვლავ ახალი ცვლილების განხორციელების აუცილებლობაში.

ამასთან საგანგებო სიტუაციების მართვის ახალი სამსახურის ხელმძღვანელად თავდაპირველად გიორგი მღებრიშვილის დანიშვნა, ხანმოკლე პერიოდში ახალი პრემიერ-მინისტრის დამტკიცების შემდეგ უწყების შინაგან საქმეთა სამინისტროს დაქვემდებარებაში დაბრუნება და მისი ხელმძღვანელის კიდევ ერთხელ შეცვლა, აჩენს ეჭვებს იმასთან დაკავშირებით, რომ უწყებაში განხორციელებულ ცვლილებებს უფრო მეტად პოლიტიკური ხასიათი ჰქონდა, ვიდრე საგანგებო სიტუაციების მართვის სფეროში რეალურად ეფექტური ცვლილებების გატარებაზე ორიენტირებული რეფორმისა.

სტრუქტურული და შრომის ანაზღაურების ცვლილებები

მიღებული საჯარო ინფორმაციის, საქართველოს ფინანსთა სამინისტროს ვებ-გვერდზე ოფიციალურად გამოქვეყნებული სახელმწიფო ბიუჯეტებისა და უწყების ხარჯების შეფასების საფუძველზე შესაძლებელია თვალი ვადევნოთ იმას თუ რა სტრუქტურული ცვლილებები განხორციელდა საგანგებო სიტუაციების მართვის სფეროში და რამდენად მოჰყვა რეფორმას დეკლარირებული ხარჯების ოპტიმიზაცია.

საგანგებო სიტუაციების მართვის სააგენტოსა და უსაფრთხოებისა და კრიზისების მართვის საბჭოს გაერთიანებამდე, სააგენტოს დირექტორისა და მისი მოადგილეების თანამდებობრივი სარგო შესაბამისად 2,705 და 2,540 ლარი იყო.⁷ რაც შეეხება უსაფრთხოებისა და კრიზისების მართვის საბჭოს ხელმძღვანელ პოზიციებზე დასაქმებულთა ანაზღაურებას, საბჭოს მდივნის თანამდებობრივი სარგო 3,200 ლარი, მისი პირველი მოადგილის 2,950 ლარი, მოადგილის კი 2,925 ლარი იყო. დღეის მდგომარეობით საგანგებო სიტუაციების მართვის სამსახურის უფროსისა და მისი მოადგილეების ყოველთვიური ანაზღაურება 6,250 ლარი, 5,900 ლარი (პირველი მოადგილე) და 5,800 (მოადგილე) ლარია. შესაბამისად ცხადია, რომ უწყებათა

⁷ <https://matsne.gov.ge/ka/document/view/3543186?publication=0>

გაერთიანების შემდეგ საგრძნობლად გაიზარდა საგანგებო სიტუაციების მართვის სააგენტოს ხელმძღვანელ პირთა თანამდებობრივი სარგოები.

უსაფრთხოებისა და კრიზისების საბჭოსგან 2017 წელს მიღებული ოფიციალური ინფორმაციის თანახმად, საბჭოს მდივანსა და მის მოადგილეებს ყოველთვიურად ერიცხებოდათ დანამატები, შედეგად კი საბჭოს მდივნის საერთო ყოველთვიური ანაზღაურება წარმოადგენდა - 7,875 ლარს, მისი მოადგილეებისა კი 6,000 და 5,975 ლარს. სამწუხაროდ ინფორმაცია ამავე პერიოდში საგანგებო სიტუაციების მართვის სააგენტოს ხელმძღვანელთა პრემიებისა და დანამატების შესახებ არ მოგვეპოვება. თუმცა სსიპ საგანგებო სიტუაციების მართვის სააგენტოს დირექტორის ფინანსური მდგომარეობის დეკლარაციიდან დგინდება რომ წლის განმავლობაში მის მეორ დაკავებული თანამდებობიდან მიღებული შემოსავალი ჯამში 67,704 ლარს შეადგენდა, რაც თვეში საშუალოდ 5,642 ლარია.

განსხვავებულია მდგომარეობა, მეხანძრე-მაშველთა შრომის ანაზღაურების შემთხვევაში. კერძოდ საგანგებო სიტუაციების მართვის სააგენტოსა და უსაფრთხოებისა და კრიზისების მართვის საბჭოს გაერთიანებამდე მათი ხელფასი რეგიონებში 630 ლარი, თბილისში კი 930 ლარი იყო. 2018 წლის აგვისტოდან მეხანძრე-მაშველთა თანამდებობრივი სარგო მცირედით გაიზარდა და მან რეგიონებში 750 ლარი, თბილისში კი 1050 ლარი შეადგინა. აღსანიშნავია, რომ მოდევნო წლის ბიუჯეტით გათვალისწინებულია მეხანძრე-მაშველთა თანამდებობრივი სარგოს გაზრდა 125 ლარის ოდენობით.

მიუხედავად აღნიშნულია, ვფიქრობთ, პრობლემურია როდესაც საგანგებო სიტუაციების მართვის სფეროში რეფორმის ერთ-ერთი გაცხადებული მიზნის, მეხანძრე-მაშველთა სოციალური მდგომარეობის გაუმჯობესების გათვალისწინებით, მათი ყოველთვიური ანაზღაურება მხოლოდ 120 ლარით გაიზარდა, მაშინ, როდესაც სამსახურის ხელმძღვანელ პოზიციებზე მყოფ პირთა ანაზღაურებამ დაახლოებით 3,000 ლარით მოიმატა, რაც წინა წლებში დამკვიდრებული დანამატების სისტემური გაცემის პრაქტიკის ჩანაცვლებას წარმოადგენს.

საგანგებო სიტუაციების მართვის სამსახურის მოქმედი საშტატო ნუსხის მიხედვით, სამსახურის სისტემა შედგება 12 ძირითადი სტრუქტურული ქვედანაყოფისგან (6 დეპარტამენტი, 5 სამმართველო და 1 საჯარო სამართლის იურიდიული პირი). ამ 12 სტრუქტურულ ქვედანაყოფის დაქვემდებარებაში შედის 12 მთავარი სამმართველო, 38 სამმართველო, 115 განყოფილება და 10 სამუშაო ჯგუფი - საერთო ჯამში 4570 საშტატო ერთეული.

საშტატო ნუსხით განსაზღვრული სტრუქტურული და საშტატო ერთეულების უმრავლესობა თავმოყრილია სახანძრო-სამაშველო ძალების დეპარტამენტში (4213 საშტატო ერთეული). თუმცა, ვხვდებით სხვა სტრუქტურულ ერთეულებსაც, რომლებიც მათი სპეციფიკიდან გამომდინარე გამორჩეულია საშტატო ერთეულების სიმრავლით. მაგალითად, საფინანსო უზრუნველყოფისა და ლოჯისტიკის დეპარტამენტი აერთიანებს 5 სამმართველოს, სადაც განსაზღვრულია 102 საშტატო ერთეული. სტრატეგიული დაგეგმვისა და ტექნოლოგიური განვითარების დეპარტამენტი აერთიანებს სამ სამმართველოს, სადაც განსაზღვრულია 25 საშტატო ერთეული. ზედამხედველობის დეპარტამენტი აერთიანებს 2 სამმართველოს და 2 განყოფილებას, სადაც შექმნილია 90 საშტატო ერთეული. მათ შორის, 20 საშტატო ერთეული შექმნილია პოლიტიკის განსაზღვრის სამმართველოში.

აღსანიშნავია, ისიც, რომ საგანგებო სიტუაციების მართვის სააგენტოსა და უსაფრთხოებისა და კრიზისების მართვის საბჭოს გაერთიანების შემდეგ საგანგებო სიტუაციების მართვის სამსახურს დაემატა და დღემდე ფუნქციონირებს სამი სტრუქტურული ერთეული: საერთაშორისო ურთიერთობების სამმართველო (8 სამტატო ერთეული), საზოგადოებასთან ურთიერთობის სამმართველო (5 სამტატო ერთეული) და იურიდიული სამმართველო (10 სამტატო ერთეული).⁸ აღნიშნულ სამმართველოებში ხელმძღვანელთა თანამდებობრივი სარგო 4,400 ლარს წარმოადგენს, მაშინ როდესაც სხვა სამმართველოთა უფროსთა ხელფასები 3,800 ლარია.

საერთაშორისო ურთიერთობების სამმართველოს კომპეტენციას წარმოადგენს საერთაშორისო ორგანიზაციებთან და სხვა ქვეყნების შესაბამის უწყებებთან ურთიერთობის ორგანიზება და საგანგებო სიტუაციების მართვის სამსახურის წარმომადგენლობის უზრუნველყოფა, ისევე როგორც საუკეთესო საერთაშორისო პრაქტიკის მოძიება, საერთაშორისო ხელშეკრულებების პროექტების მომზადება და მათი შესრულების მონიტორინგი. აღნიშნული უწყებთა გაერთიანებამდე სამოქალაქო უსაფრთხოების სამმართველოს კომპეტენციას წარმოადგენდა.


საზოგადოებასთან ურთიერთობის სამმართველოს კომპეტენციაში შედის საკომუნიკაციო კონცეფციის, სტრატეგიისა და სამოქმედო გეგმის შემუშავება, მათი განხორციელების უზრუნველყოფა და მონიტორინგი; საგანგებო სიტუაციების მართვის სამსახურში მიმდინარე პროცესების შესახებ საზოგადოების ინფორმირება; საზოგადოებისა და მასმედიის წარმომადგენლებთან თემატური შეხვედრების, პრესკონფერენციებისა და ბრიფინგების მოწყობა კომპეტენციის ფარგლებში. სამმართველოს შექმნამდე მოცემულ ფუნქციებს შინაგან საქმეთა სამინისტროს შესაბამისი დეპარტამენტი ახორციელებდა, რომელსაც საინფორმაციო არხების მეშვეობით გასავრცელებელ მასალებს საჭიროების შემთხვევაში საგანგებო სიტუაციების მართვის სააგენტოს ადმინისტრაცია აწვდიდა.

რაც შეეხება იურიდიულ სამმართველოს მის ფუნქციებში შედის სამართალ შემოქმედებითი საქმიანობის უზრუნველყოფა; საერთაშორისო და სხვა სახის ხელშეკრულებებისა და მემორანდუმების პროექტების ექსპერტიზა და სათანადო დასკვნებისა და რეკომენდაციების შემუშავება; საჯარო ინფორმაციის ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფა და საჯარო ინფორმაციის პროაქტიულად გამოქვეყნება; სასამართლოში საგანგებო სიტუაციების მართვის სამსახურის წარმომადგენლობის უზრუნველყოფა და ინტერესების დაცვა კომპეტენციის ფარგლებში. ყველა ჩამოთვლილ უფლებამოსილებათა განხორციელება უწყებათა გაერთიანებამდე საგანგებო სიტუაციების მართვის სააგენტოს ადმინისტრაციის (სამმართველო) კომპეტენციაში შედიოდა.


შესაბამისად დასაბუთებას საჭიროებს ის, თუ დეკლარირებული ხარჯების ოპტიმიზაციის გათვალისწინებით, რატომ გახდა აუცილებელი ახალი სამმართველოების შექმნა, მაშინ როდესაც საგანგებო სიტუაციების მართვის სააგენტოში ისედაც არსებობდნენ მსგავსი ფუნქციების განმახორციელებელი სტრუქტურული ერთეულები. აღნიშნული აჩენს საფუძვლიან ეჭვებს მოცემულ სტრუქტურულ ერთეულთა შექმნის აუცილებლობასთან დაკავშირებით.

⁸ გაერთიანებამდე: <https://matsne.gov.ge/ka/document/view/2647504?publication=0>
გაერთიანების შემდეგ: <https://matsne.gov.ge/ka/document/view/4522158?publication=0>

ასევე, საგანგებო სიტუაციების მართვის სამსახურში ადმინისტრაციული მიზნებისთვის დასაქმებულ თანამშრომელთა რაოდენობის (სრული შტატი სახანძრო-სამაშველო დეპარტამენტის გამოკლებით) სხვადასხვა სამინისტროსთან შედარება მნიშვნელოვან კითხვებს აჩენს, სამსახურის ბიუროკრატიული აპარატის ოპტიმალურ ზომასთან დაკავშირებით. კერძოდ, საგანგებო სიტუაციების მართვის სამსახურის მოქმედი საშტატო ნუსხის მიხედვით, სახანძრო-სამაშველო ძალების დეპარტამენტის გარდა, განსაზღვრულია 326 საშტატო ერთეული, რაც მნიშვნელოვნად აღემატება მთელი რიგი სამინისტროების ცენტრალურ აპარატებში შტატიტ გათვალისწინებულ თანამდებობებზე დასაქმებულთა რაოდენობას. მაგალითად, ის დაახლოებით 117%-ით აღემატება რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტროს ცენტრალურ აპარატში შტატიტ დასაქმებულ თანამშრომელთა რაოდენობას, 83%-ით აღემატება ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს მაჩვენებელს, ხოლო 62%-ით აღემატება - ფინანსთა, ჯანდაცვის და გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროების მაჩვენებლებს.⁹



⁹ სამინისტროთა მონაცემები აღებულია მათ ოფიციალურ ვებგვერდებზე 2019 წლის მეორე კვარტლის პროაქტიულად გამოქვეყნებული ინფორმაციიდან.




საგანგებო სიტუაციების მართვის სამსახურის ხარჯების ანალიზი - 2015-2018 წ.წ.

წლიური ხარჯები

საგანგებო სიტუაციების მართვის სამსახურის წლიური ბიუჯეტების შედარების შედეგად დადგინდა, რომ 2015 წელთან შედარებით 2018 წელს სამსახურის ხარჯი გაიზარდა 10 მილიონზე მეტი (10,376 ათასი) ლარით.


როგორც ბემოთ იქნა აღნიშნული 2018 წლის 1-ლი იანვრიდან საგანგებო სიტუაციების მართვის სამსახური გაერთიანდა პრემიერ-მინისტრის სათათბირო ორგანო - უსაფრთხოებისა და კრიზისების მართვის საბჭოსთან. შესაძლებელია ვივარაუდოთ რომ წლიური ხარჯის გაზრდა სწორედ აღნიშნულ უწყებათა გაერთიანების შედეგი იყო, თუმცა მსჯელობის საწინააღმდეგოდ შეტყვევებს ორი ფაქტორი. დასახელებული უწყებები გაერთიანდნენ 2018 წლის 1-ლი იანვრიდან, საგანგებო სიტუაციების მართვის სამსახურის წლიური ხარჯი კი 2015 წლიდან ყოველწლიურად რამდენიმე მილიონი ლარით იზრდებოდა. ამასთან, 2017 წლის განმავლობაში უსაფრთხოებისა და კრიზისების მართვის საბჭოს ხარჯი შეადგენდა 3,376.3 ათას ლარს. გაერთიანების შემდეგ აღნიშნული ციფრის გათვალისწინებითაც კი საგანგებო სიტუაციების სამსახურის ხარჯი 2018 წელს წინა წელთან შედარებით არათუ შემცირდა არამედ კვალავაც განაგრძო ზრდა.



საყურადღებოა, ისიც რომ საგანგებო სიტუაციების მართვის სამსახურმა საკუთარი შემოსავლიდან (და არა სახელმწიფო ბიუჯეტიდან მიღებული ასიგნებიდან) ყველაზე მაღალი ხარჯი 2015 წელს გასწია და ის 12 მილიონ ლარზე მეტი იყო. მომდევნო წლებში უწყების მიერ საკუთარი შემოსავლიდან განეული ხარჯი მნიშვნელოვნად დაეცა და 2017-2018 წლებში ის შესაბამისად 170 ათას და 291 ათას ლარს გაუტოლდა.

საგანგებო სიტუაციების მართვის სამსახური შემოსავალს ისეთი განეული მომსახურებებიდან იღებს, როგორც არის: სახანძრო უსაფრთხოების ზომების შემუშავება, სახანძრო უსაფრთხოების საკითხებზე სპეციალისტის ტექნიკური


კონსულტაცია, საგანგებო სიტუაციებისაგან მოსახლეობისა და ტერიტორიის დაცვის საკითხებზე სპეციალისტის ტექნიკური კონსულტაცია და სხვა.



ბუნებრივია უწყების მიერ განუვლი ხარჯების ზრდა შესაძლებელია დაკავშირებული იყოს მისი ფუნქციების გაფართოებასთან. თუმცა დავის საგანს არ წარმოადგენს ის, რომ სახელმწიფოს მიერ დეკლარირებული ხარჯების ოპტიმიზაციის პოლიტიკა საგანგებო სიტუაციების სამსახურთან მიმართებით წარმატებით ვერ განხორციელდა.

შრომის ანაზღაურება

მსგავსად საერთო წლიური ხარჯისა, 2015 წლიდან ეტაპობრივად იზრდებოდა საგანგებო სიტუაციების სამსახურში დასაქმებულთა შრომის ანაზღაურებაზე განუვლი ხარჯები. 2018 წელს აღნიშნულმა ციფრმა 44 მილიონ ლარს გადააჭარბა, მაშინ როდესაც 2015 წელს ის დაახლოებით 37 მილიონ ლარს უტოლდებოდა.




შრომის ანაზღაურების ზრდა თავის თავად ვერ იქნება უარყოფითი თუ დადებითი შეფასების საგანი. ის შესაძლებელია წარმოადგენდეს ქვეყანაში მიმდინარე ეკონომიკური პროცესების ლოგიკურ გაგრძელებას. თუმცა აღნიშნული მსჯელობა მართებულია იმ შემთხვევაში თუ გაზრდილი შრომის ანაზღაურების ფონდით სარგებლობენ ყველა რანგის საჯარო მოხელეები.

როგორც ეს ზემოთ იქნა აღნიშნული, კრიზისების მართვის საბჭოსა და საგანგებო სიტუაციების მართვის სააგენტოს გაერთიანების შემდეგ მეხანძრე-მაშველთა თანამდებობრივი სარგო 120 ლარით, ხელმძღვანელ პოზიციებზე მყოფ თანამდებობის პირთა სარგო კი 3000 ლარამდე ოდენობით გაიზარდა, წინა წლებში არსებული დანამატების გაცემის პრაქტიკის ჩანაცვლების მიზნით. არსებული მდგომარეობით მეხანძრე-მაშველთა თანამდებობრივი სარგოები დაახლოებით 8-ჯერ ჩამოუვარდება ხელმძღვანელ პოზიციებზე დასაქმებულ პირთა ანაზღაურებას.

აღსანიშნავია, ასევე ისიც რომ საგანგებო სიტუაციების მართვის სამსახურის ხელმძღვანელის თანამდებობრივი სარგო მნიშვნელოვნად აღემატება მაგალითად პარლამენტის წევრთა ანაზღაურებას - 4,623.75 ლარს და მხოლოდ მცირედით ჩამოუვარდება საქართველოს პრეზიდენტის თუ პარლამენტის თავმჯდომარის ანაზღაურებებს, რომლებმაც 2018 წლის განმავლობაში შესაბამისად 6,900 და 6,738.75 ლარი შეადგინეს. საინტერესოა, რომ საგანგებო სიტუაციების მართვის სამსახურის ხელმძღვანელი უწყების უმაღლეს თანამდებობის პირს, შინაგან საქმეთა მინისტრის ანაზღაურება უტოლდება საგანგებო სიტუაციების მართვის სამსახურის უფროსის ყოველთვიურ თანამდებობრივ სარგოს.

საგანგებო სიტუაციების მართვის სამსახურში ხელმძღვანელ პოზიციებზე დასაქმებულ საჯარო მოხელეთა ხელფასების მკვეთრი ზრდა და მეხანძრე-მაშველთა მწირი ანაზღაურება კიდევ ერთხელ მიუთითებს იმაზე, რომ ვერ შესრულდა საგანგებო სიტუაციების მართვის რეფორმირების ის ერთ-ერთი მთავარი დეკლარირებული მიზანი, რასაც ხარჯების ოპტიმიზაცია და მეხანძრე-მაშველთა ფინანსური მდგომარეობის გაუმჯობესება წარმოადგენდა.

საგანგებო სიტუაციების მართვის სამსახურის შრომის ანაზღაურების განაკვეთები (ლარებში)




სოციალური უზრუნველყოფა

საგანგებო სიტუაციების მართვის სამსახურის საერთო ბიუჯეტის ზრდის პარალელურად, უწყებაში მცირედით - ნახევარი მილიონი ლარით გაიზარდა მოხელეთა სოციალურ უზრუნველყოფაზე განეული ხარჯებიც და 2018 წელს მან მილიონ ლარზე მეტი შეადგინა.

საგანგებო სიტუაციების მართვის სამსახურში დასაქმებულ საჯარო მოსამსახურეთა სოციალური უზრუნველყოფა მოიცავს ისეთ საკითხებს, როგორც არის ჯანმრთელობის დაზღვევა; ერთჯერადი ანაზღაურება სამსახურებრივი მოვალეობის შესრულებისას მიღებული ჯანმრთელობის დაზიანების შემთხვევაში; ყოველთვიური კომპენსაცია იმ მეხანძრე-მაშველთათვის, რომლებსაც უწევთ სამსახურებრივი გადაადგილება რომელიმე სხვა ქალაქში, რაიონში ან დასახლებულ პუნქტში, რაც დაკავშირებულია საცხოვრებელი ადგილის შეცვლასა და ბინის დაქირავებასთან; სანვავითა და სასაუბრო დროით უზრუნველყოფა და სხვა.¹⁰

¹⁰ <https://matsne.gov.ge/ka/document/view/4594118?publication=0>

საგანგებო სიტუაციების მართვის სამსახურის წლიური სოციალური უზრუნველყოფის ხარჯი (ათას ლარებში)




საგანგებო სიტუაციების მართვის სამსახურის საჯარო მოხელეთა სოციალური გარანტიების ამოქმედება სფეროს რეფორმირების ერთ-ერთ მიზანს წარმოადგენდა. სწორედ ამიტომ მოსალოდნელი იყო ამ მიმართულებით უწყების ხარჯების მატება, სხვა ხარჯით კატეგორიებში ფინანსების დაზოგვის გზით. მიუხედავად იმისა, რომ 2018 წელს გაიზარდა უწყების სოციალური უზრუნველყოფის ხარჯი, ამ მიმართულებით ბიუჯეტის ხარჯვითი ნაწილის ზრდა ძალზედ დაბალია, თუ შევადარებთ მას სხვა ისეთ კატეგორიებს, როგორც არის მაგალითად საქონლისა და მომსახურების შესყიდვის ხარჯი (ზრდა 3 მილიონი).

დასაქმებულთა რაოდენობა

მიუხედავად იმისა, რომ 2015 წლიდან ეტაპობრივად იზრდებოდა საგანგებო სიტუაციების სამსახურში დასაქმებულთა შრომის ანაზღაურებაზე განეული ხარჯები, ამავე პერიოდის განმავლობაში მნიშვნელოვნად შემცირდა სამსახურში დასაქმებულთა რაოდენობა. კერძოდ, თუ 2015 წელს უწყებაში სულ დასაქმებული იყო 5,136 პირი, 2018 წელს აღნიშნული ციფრი 3,896 იყო. მოცემული ვითარება აჩენს კითხვის ნიშნებს შრომის ანაზღაურებაზე განეული ხარჯების ზრდის განმაპირობებელ ფაქტორებთან დაკავშირებით, განსაკუთრებით თუ გავითვალისწინებთ იმას, რომ აღნიშნული პერიოდის განმავლობაში მუხანძრე-მაშველთა თანამდებობრივი სარგო მხოლოდ ერთხელ - 2018 წლის 1 აგვისტოდან გაიზარდა.

საგანგებო სიტუაციების მართვის სამსახურში დასაქმებულთა რაოდენობა



დასაქმებულთა საერთო რაოდენობის მკვეთრი შემცირების საწინააღმდეგოდ, გაიზარდა შტატგარეშე დასაქმებულთა რაოდენობა და მან 312 პირი შეადგინა. 2016-2017 წლებში უწყებაში შტატგარეშედ დასაქმებული იყო შესაბამისად 131 და 188 პირი.


2018 წელს შტატგარეშე დასაქმებულთა ზრდის დეტალური შესწავლის მიზნით IDFI-მ საგანგებო სიტუაციების მართვის სამსახურიდან გამოითხოვა შტატგარეშე დასაქმებულთა პოზიციების ჩამონათვალი, თითოეულზე გაცემული შრომის ანაზღაურების ოდენობის შესახებ ინფორმაცია და მათთან გაფორმებულ ხელშეკრულებათა ასლები, პერსონალური მონაცემების (სახელი, გვარი, პირადი ნომერი) დამტრინხვით. სამწუხაროდ უწყებამ აღნიშნული ინფორმაცია არ გასცა და ნაცვლად ამისა მოგვანოდა სახანძრო-სამაშველო განყოფილების ოპერატორთა შრომითი ხელშეკრულების ნიმუში.

საქონელი და მომსახურება

2018 წელს წინა წელთან შედარებით 3 მილიონ ლარზე მეტით არის გაზრდილი საგანგებო სიტუაციების სამსახურის მიერ საქონლისა და მომსახურების შესყიდვებზე განხორციელებული ხარჯი.

მოცემული ხარჯვითი კატეგორიის ფარგლებში, IDFI შეეცადა დეტალურად შეესწავლა უწყების მიერ განხორციელებული ხარჯების შესახებ ინფორმაცია, თუმცა სამწუხაროდ საგანგებო სიტუაციების მართვის სამსახურმა არ მოგვანოდა ინფორმაცია თანამდებობის პირებზე გამოყოფილი და ათვისებული საწვავის ოდენობის შესახებ. უწყებამ არ გასცა არც საწვავის მოხმარებაზე ყოველთვიური ლიმიტების განსაზღვრის შესახებ სამართლებრივი აქტების ასლები.

**საგანგებო სიტუაციების მართვის სამსახურის
წლიური საქონლისა და მომსახურების
შესყიდვის ხარჯი (ათას ლარებში)**



დასკვნა

მისასალმებელია, რომ საგანგებო სიტუაციების მართვის სფეროს რეფორმირების სახელმწიფოს მიერ გაცხადებულ მიზანს უწყების მეტად ეფექტური საქმიანობა და ხარჯების ოპტიმიზაცია წარმოადგენდა. მიუხედავად, აღნიშნულისა რეფორმათა განხორციელების სიხშირე შესაძლებელია მიუთითებდეს იმაზე, რომ ყოველ კონკრეტულ შემთხვევაში რეფორმები არ იყო საკმარისად ეფექტური. გადანაცვტილებები მიიღებოდა დაჩქარებული წესით, შესაბამისი წინასწარი შეფასების თუ კონსულტაციების გარეშე. აღნიშნული კი გამოხატულებას პოვებდა, ხანმოკლე პერიოდის გასვლის შემდეგ კვლავ ახალი ცვლილებების განხორციელების აუცილებლობაში.

ანალიზის შედეგად გამოიკვეთა, რომ ყოველწიურად იზრდებოდა უწყების მიერ განეული ხარჯი. აღნიშნული შესაძლებელია დაკავშირებული იყოს საგანგებო სიტუაციების მართვის სამსახურის ფუნქციების გაფართოებასთან. თუმცა განხილვის საგანს წარმოადგენს ის თუ რამდენად წარმატებით განხორციელა სახელმწიფოს მიერ დეკლარირებული ხარჯების ოპტიმიზაციის პოლიტიკა საგანგებო სიტუაციების მართვასთან მიმართებით .

ხარჯების ოპტიმიზაციის მიზნის საწინააღმდეგოდ მეტყველებს ისიც, რომ საგანგებო სიტუაციების მართვის სააგენტოსა და უსაფრთხოებისა და კრიზისების მართვის საბჭოს გაერთიანების შემდეგ გაორმაგდა საგანგებო სიტუაციების მართვის სააგენტოს ხელმძღვანელ პირთა თანამდებობრივი სარგოები და ის თითქმის გაუტოლდა საქართველოს პრეზიდენტისა და პრემიერ-მინისტრის ყოველთვიურ ანაზღაურებას.

საყურადღებოა ასევე ის, რომ მეხანძრე-მაშველთა თანამდებობრივი სარგო მხოლოდ მცირედით (120 ლარი) გაიზარდა. შედეგად მათი ანაზღაურება დაახლოებით 8-ჯერ ჩამოუვარდება ხელმძღვანელ პოზიციებზე დასაქმებულ პირთა ანაზღაურებას. შესაბამისად ცხადია, რომ ვერ შესრულდა საგანგებო სიტუაციების მართვის რეფორმირების ვერც ის მიზანი, რომელსაც მეხანძრე-მაშველთა ფინანსური მდგომარეობის გაუმჯობესება წარმოადგენდა. აღნიშნულის ფონზე დადებითად უნდა

შეფასდეს ის რომ მომდევნო წლის ბიუჯეტით გათვალისწინებულია მეხანძრე-მაშველთა თანამდებობრივი სარგოს გაზრდა 125 ლარის ოდენობით.

ამასთან, საგანგებო სიტუაციების მართვის სამსახურის სტრუქტურის შესწავლის შედეგად დადგინდა, რომ მისი უსაფრთხოებისა და კრიზისების მართვის საბჭოსთან გაერთიანების შემდეგ უწყებაში გაიზარდა ბიუროკრატია. კერძოდ მას დაემატა და დღემდე ფუნქციონირებს სამი ახალი სამმართველო, საერთაშორისო ურთიერთობების სამმართველო, საზოგადოებასთან ურთიერთობის სამმართველო და იურიდიული სამმართველო. მოცემულ სამმართველოთა ფუნქციებს უწყებათა გაერთიანებამდე საგანგებო სიტუაციების მართვის სააგენტოს ადმინისტრაცია და სამოქალაქო უსაფრთხოების დეპარტამენტი ასრულებდნენ. ამასთან, აღნიშნულ სტრუქტურულ ერთეულებში ხელმძღვანელთა ხელფასი აღემატება ყველა სხვა სამმართველოს უფროსთა ანაზღაურებას. ყოველივე ზემოთქმული ბადებს ეჭვებს ახალ სამმართველოთა შექმნის საჭიროებასთან დაკავშირებით.

პრობლემატურია ისიც, რომ დღეის მდგომარეობით, როდესაც საგანგებოს სიტუაციების მართვის სამსახურის ვებ-გვერდი სატესტო რეჟიმში ფუნქციონირებს პროაქტიულად არ არის ხელმისაწვდომი ინფორმაცია სამსახურის საქმიანობის შესახებ. საჯარო ინფორმაციის მიღების შესახებ განცხადების მიმართვისას კი ინფორმაციის მიღების პროცესი ძალზედ გართულებულია.

ინფორმაციის თავისუფლების განვითარების ინსტიტუტი (IDFI)

ა. გრიბოედოვის ქ. №3 • თბილისი 0108 • საქართველო

ტელ: + 995 32 2 92 15 14 • ელ-ფოსტა: info@idfi.ge

WWW.IDFI.GE